#1: შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, აგრეთვე 4445 შემსყიდველ ორგანიზაციაში საჯარო შესყიდვების კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ან გადამზადების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2014 წლის 15 ოქტომბერს გახსნა სასწავლო ცენტრი. 2015 წლის ბოლოს მდგომარეობით, ცენტრში გადამზადებულია 587 სახელმწიფო მოსამსახურე და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. 2016 წელს, სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადდება როგორც საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ქ.თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების, მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ების, ა(ა)იპ-ების, შპს-ებისა და სხვ., ისე თვითმმართველობის ორგანოების, მათ მიერ დაფუძნებული და მათივე მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული 840 სპეციალისტი. სასწავლო კურსების, ტრენინგ-სემინარებისა და სხვა ტიპის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება-ჩატარების გზით, სასწავლო ცენტრი გეგმავს ბენეფიციართა წრის გაფართოებას, როგორც ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და სხვა სამართლებრივი ფორმის მქონე შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

პერიოდი: 2016 წელი

პროგრესი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, 2016 წლის განმავლობაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო კურსი ჩაუტარდათ აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო დაწესებულებების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს. უნივერსალურობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი განკუთვნილია მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში და სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია.
მსმენელების თხუთმეტი ნაკადის საერთო რაოდენობამ ჯამში შეადგინა 834 მსმენელი. აქედან 336 მსმენელი წარმოდგენილი იყო ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, ხოლო 498 წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ების, ააიპ-ების და შპს-ების შესყიდვების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს. ტრეინინგების თემატიკა თერთმეტივე ნაკადის შემთხვევაში მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების შესწავლას, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას, შესყიდვების საშუალებების სწავლებას, სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესის მოდელირებას, ელ. სერვისების შესწავლას, გამარტივებული

შესყიდვის პროცედურებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს, თეთრ და შავ სიას, კონკურსს და დავების საბჭოს ფუნქციონირებას.

#2: დავების განხილვის საბჭოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ელექტრონული მოდულის (eProcurement - DRB module) სერვისების განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: 2015 წლის განმავლობაში დაიწყო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესის სრულყოფა-რეფორმირება. ახალი კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრა დავების საბჭოს საქმიანობის ახალი წესი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“. განმტკიცდა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის ხარისხი. 2014-2015 წწ. განმავლობაში რეკორდულად გაიზარდა საჩივრების ოდენობა.



2015 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში შემოვიდა 1017 საჩივარი; დავების საბჭომ განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო 813 საჩივართან მიმართებით (გამოკლებულია საჩივრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სტატუსი - „გაუქმებულია“, „დაუშვებლად მიჩნეული“, „განუხილველად დატოვებული“; თუმცა, საბჭოს აპარატის მიერ განხილული იქნა ყველა 1017 საჩივრის დასაშვებობის საკითხი). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს მიერ არ გაუქმებულა არც ერთი გასაჩივრებული გადაწყვეტილება.



	დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	დაუშვებლად მიჩნეული	საჩივარი გაუქმებულია	განხილვის პროცესში	განუხილველად დატოვებული
რაოდენობა სულ 1017	299	357	157	188	15	0	1

2016 წელს დავების განხილვის საბჭოს და საბჭოს აპარატის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ასევე თითქმის 30,900 ბენეფიციარი ორგანიზაციის და სამოქალაქო საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობისათვის და მათი მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement დაპროექტდება და დაინერგება სრულიად ახალი ელექტრონული სერვისები; შეიქმნება მომხმარებლის სახელმძღვანელოს ახალი რედაქცია; დაიწყება მუშაობა მობილური გზავნილების, მობილური სერვისების და ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის დანერგვის მიმართულებით.

პერიოდი: 2016 წელი

პროგრესი: სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში
2016 წელს საბჭოში წარმოდგენილი 1572 საჩივრიდან: (2017 წლის 4 იანვრის მდგომარეობით)

დაკმაყოფილდა **276 საჩივარი**
არ დაკმაყოფილდა **539 საჩივარი**
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა **285 საჩივარი**
დაუშვებლად მიჩნეული **397 საჩივარი**
საჩივარი გაუქმებულია **41 საჩივარი**
განხილვის პროცესში **34 საჩივარი**



2017 წლის 4 იანვრის მდგომარეობით საბჭოს გადაწყვეტილება მიღებული აქვს 1 100 საჩივართან დაკავშირებით (გამოკლებულია საჩივრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სტატუსი - „საჩივარი გაუქმებულია“, „დაუშვებლად მიჩნეული“, „განხილვის პროცესში“. თუმცა, საბჭოს აპარატის მიერ განხილული იქნა ყველა 1572 საჩივრის დასაშვებობის საკითხი).

აღსანიშნავია, რომ:

- 2016 წლის განმავლობაში დავების საბჭოში გასაჩივრდა 6 კონკურსი (CNT) მოდული;
- 2016 წლის 1 ივლისიდან ცხადდება ტენდერები ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე (ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT). 2016 წელს დავების საბჭოში გასაჩივრდა აუქციონის გარეშე გამოცხადებული 193 გამარტივებული ელექტრონული/ელექტრონული ტენდერი;
- 2016 წლის 1 დეკემბრიდან ცხადდება ტენდერები სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად (DAP) შესყიდვის პროცედურა. 2016 წლის 1 დეკემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დავების საბჭოში გასაჩივრდა 2 (ორი) სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული (DAP) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესში“ სამჯერ იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები. შეტანილი ცვლილების მიხედვით ახლებურად ჩამოყალიბდა საბჭოში გასაჩივრების ვადები, განისაზღვრა საჩივრის დაუშვებლობის საფუძვლები, ასევე აღინიშნა, რომ საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე შესყიდვის პროცედურები ჩერდება როგორც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ასევე პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №17 ბრძანებით შეტანილი ცვლილებიდან (ამოქმედდება 2017 წლის 16 იანვრიდან) აღსანიშნავია, რომ საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში შესაბამისი შესყიდვის პროცედურები შეჩერდება სისტემურად. ასევე, მხარეებს (მომჩივანი, მოპასუხე) და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში) საბჭოს სხდომაზე მოწვევის შესახებ შეტყობინებები გაეგზავნებათ №1 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. შემუშავებული იქნა საჩივრის ახალი ელექტრონული ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია, რომელიც ერთვის ზემოხსენებულ ბრძანებას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

#3: კონსოლიდირებული ტენდერების მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება ახალი ელექტრონული მოდულის და სერვისების დანერგვის გზით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიუხედავად შესყიდვის მოცულობისა, ნავთობპროდუქციის (საწვავის), სტანდარტული პერსონალური და პორტაბელური კომპიუტერების, A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის, ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებისა და მცირე ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით, ამავე ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლებისაგან, კონსოლიდირებული ტენდერების პირობების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა.

კონსოლიდირებული ტენდერების დაგეგმვის, მათი შემდგომი მონიტორინგის, ანალიზისა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოების მიზნით, 2016 წლიდან დაინერგება და გავრცელდება კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ახალი სისტემა - CONSYS (ctd.spa.ge). ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იქნება დარეგისტრირდეს აღნიშნულ სისტემაში და კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებით სამთავრობო სატენდერო კომისიისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია წარადგინოს ამ სისტემის მეშვეობით.

სისტემის პილოტირება, ფართო მასშტაბით დანერგვა და მომხმარებელთა სათანადო კონსულტირება უზრუნველყოფს ზოგადად კონსოლიდირებული ტენდერების უკეთეს მენეჯმენტს, მონაცემთა სწრაფ და ეფექტიან დამუშავებას, საჭიროებების განსაზღვრას ქვეყნის მასშტაბით, სააგენტოს ანალიტიკური შესაძლებლობების და პროგნოზირების გაზრდას. შედეგად, საქართველოს მთავრობას მიეცემა ინსტრუმენტი მიიღოს მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილებები ამ ტიპის შესყიდვების დასაგეგმად და განსახორციელებლად, ასევე ახალი პროდუქტების ნომენკლატურის გაზრდის კუთხითაც.

პერიოდი: 2016 წელი

პროგრესი:

კონსოლიდირებული ტენდერების დაგეგმვის, მათი შემდგომი მონიტორინგის, ანალიზისა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოების მიზნით, დანერგილ კონსოლიდირებულ ტენდერების მენეჯმენტის ახალი სისტემაში - CONSYS (ctd.spa.ge) რეგისტრირებულია 4759 შემსყიდველი ორგანიზაცია.

CONSYS სისტემის გამოყენებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელდა შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შესასყიდ პროდუქტებზე კვლევა - მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების აკუმულატორები და საბურავები, ასევე კარტრიჯები, პრინტერების/სკანერების/კოპირის შესახებ დამუშავებული ინფორმაცია გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, რათა გადაწყდეს აღნიშნული პროდუქტების კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით შესყიდვის მიზანშეწონილობა.

ამჟამად, ხსენებული ელექტონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილია მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების, ნავთობპროდუქციის (საწვავის), კომპიუტერების, საბეჭდი ქაღალდისა და ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების გეგმა, რომლითაც მოხდა შემსყიდველი ორგანიზაციების მოთხოვნების დაიდენტიფიცირება და შემდგომ კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადება.

კონსოლიდირებული ტენდერების ადმინისტრირების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინეს კონსოლიდირებულად შესასყიდი ყოველი პროდუქტისათვის განსაზღვრულ პერიოდში ფაქტობრივ ათვისების შესახებ ინფორმაცია. კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირების მიზნით სულ განხორციელდა 66 სახის ფაქტობრივი ათვისების ინფორმაციის დამუშავება.

მენეჯმენტის სისტემის CONSYS მეშვეობით ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის აპარატი გასცემს ნებართვებს ნავთობპროდუქციის შესყიდვის თაობაზე. აღნიშნულ, 2016 წლის განმავლობაში, სისტემაში შემოსულია 4935 ნებართვა საიდანაც 4222-ზე გაიცა ნებართვა, 666-ზე უარი ხოლო 28 იმყოფება დაზუსტების რეჟიმში.

CONSYS ელექტრონულ სისტემაში 2016 წლის მდგომარეობით, ნავთობპროდუქტების ათვისებასთან დაკავშირებული კვლევების, გეგმების, ფაქტობრივი ათვისებისა თუ ნავთობპროდუქციის ნებართვების წარმოდგენისას სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა დაამუშავა 66,747 ანგარიში.

#4: მიმწოდებელი ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან[1], GIZ[2], USAID G4G[3], OGP და სხვა დონორებთან თანამშრომლობით).

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყნის ეკონომიკური და რეგიონული განვითარების, დასაქმების ხელშესაწყობად, ბიზნეს-სექტორის მეტი ჩართულობის, კონკურენციის ხელშეწყობის და გაზრდის მიზნით, აგრეთვე 27,000 მეტი მიმწოდებელი ბიზნეს კომპანიის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო-პროპაგანდისტური კამპანიის, საკონსულტაციო შეხვედრების, აგრეთვე, მრგვალი მაგიდების, ტრენინგ-სემინარებისა და სხვა ტიპის შეხვედრების (მ.შ. გასვლითი რეგიონული შეხვედრები კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონში) ციკლის ჩატარება.

პერიოდი: 2016 წელი

პროგრესი: - 2016 წლის 18 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა შეხვედრა გამართეს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის (თეთრი სია) წარმოების ახალი წესის გაცნობა.

- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2016-2017 წლების მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში, მიმდინარე წლის 29 მარტს გაიმართა პირველი შეხვედრა საგარეჯოსა და კაჭრეთში. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, ფერმერები. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა დამსწრე პირებს, ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის, ფუნქციების, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებისა და ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაგეგმილი ინოვაციების შესახებ. კერძოდ, ხსენებული ინოვაციები ითვალისწინებს ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციის, შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის დანერგვას და სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის სრულყოფას. აღნიშნული სამუშაო გეგმის შემუშავების ფარგლებში იდენტური შინაარსის შეხვედრა გაიმართა მცხეთაში 2016 წლის 4 აპრილს, ოზურგეთში 7 აპრილს, ბათუმში 8 აპრილს და რუსთავში 15 აპრილს.

- 2016 წლის 15 აპრილს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამართეს საჯარო განხილვა ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების სფეროს

[1] http://www.gcci.ge/
[2] https://www.giz.de/en/worldwide/20324.html
[3] http://georgia.usembassy.gov/news-events/emb_news2014t/11122014usaid.html

თემატიკაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნესსაზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ინიციატივით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაწესდა ღია კარის დღე, რომელიც იმართება თვეში ორჯერ და მასში მონაწილეობას იღებენ ბიზნეს საზოგადოების წარმომადგენლები. აღნიშნული ინიციატივა ძალაში შევიდა 2016 წლის 11 მაისიდან. 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით უკვე ჩატარდა 16 შეხვედრა. შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა განიხილეს შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები კონკრეტულ ტენდერებთან დაკავშირებით. შეხვედრები იმართება სექტორების მიხედვით.

- 2016 წლის 23-24 მაისს, ქ თბილისში, აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP), აშშ-ს საელჩო საქართველოში, EBRD (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი), WTO მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროკავშირის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინსიტროს და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეგიდით გაიმართა სემინარი თემაზე „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმების ვალდებულებები, მიერთების პროცესი და კომერციული სარგებელი საქართველოსთვის“. შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნეს საზოგადოების და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ძირითადი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის.

- „ღია მმართველობის პარტნიორობის“(OGP) 2016-2017 წლების მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში, მიმდინარე წლის 6 ივნისს, ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატაში, გიმართა შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

- 2016 წლის 29 ივნისს, USAID-ს G4G პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამუშაო შეხვედრა ბიზნეს საზოგადოებასთან, სამოქალაქო სექტორთან და შემსყიდველ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში დამსწრე საზოგადოება გაეცნო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაგეგმილ რეფორმებს, რომელიც გულისხმობს შესყიდვის ორი ახალი სახეობის, ელექტრონული ტენდერის, რევერსული აუქციონის გარეშე და ორეტაპიანი ტენდერის შემოღებას, რომელიც სისტემაში 1 ივლისიდან და 1 აგვისტოდან გაეშვება.

- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს G4G პროგრამის მხარდაჭერით, 2016 წლის 12-13 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა საქმიანი შეხვედრები აჭარის რეგიონში მოღვაწე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დანერგილი შესყიდვების ახალი მეთოდების გაცნობა.

- GIZ-ის მხარდაჭერით, 2016 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისში გაიმართა საქმიანი შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ახალი ცვლილებების გაცნობა, კერძოდ ტენდერები რევერსული აუქციონის გარეშე და ორეტაპიანი შესყიდვის საშუალების დანერგვაზე ინცორმაციის მიწოდება.

- 2016 წლის 21 დეკემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი შეხვედრა თემაზე: „სახელმწიფო შესყიდვები - განხორციელებული რეფორმები, სიახლეები და ცვლილებები“. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა, ბიზნესგაერთიანებების და ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული ბიზნესმენები. აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა USAID Project Governing for Growth (G4G) in Georgia-ს მხარდაჭერით და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანაორგანიზატორობით.